2 მაისს შედგა სსრ კავშირის 49-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი VIII ტურის მატჩები

თბილისის დინამოელები ამ დღეს ვილნიუსში შეხვდნენ ადგილობრივ „ჟალგირისს“. წინა ტურში ორივე გუნდმა მარცხი განიცადა, ამიტომ მათს შემადგენლობებში გარკვეული ცვლილებები მოხდა. გარდა ამისა, მწყობრში ჩადგნენ გამოჯანმრთელებული ფეხბურთელებიც.

ვილნიუსის მატჩის პირველ ტაიმში ბრძოლა თანაბარი იყო, რამდენადმე მაინც შესამჩნევი უპირატესობა არც ერთ მხარეს არ ჰქონია. მე-14 წუთზე ვილნიუსელთა ბარანაუსკასმა ვერ გამოიყენა გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა. ტაიმის დასასრულს კი ჩელებაძემ ააცდინა ბურთი მიზანს.

მეორე ტაიმის დასაწყისში ტერიტორიულ უპირატესობას სტუმრებმა მიაღწიეს, „ჟალგირისის“ კართან რამდენიმე სახიფათო ვითარება შეიქმნა. შემდეგ შეტევაზე ვილნიუსელები გადავიდნენ, მათი ერთ–ერთი იერიში 65-ე წუთზე ზუსტი დარტყმით დაამთავრა სუკრისტოვმა – 1:0.

დარჩენილ დროში დინამოელები ბევრს ეცადნენ, „ჟალგირისის“ კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები, მაგრამ ვილნიუსელებმა საბოლოოდ გაუძლეს მეტოქის იერიშებს და შეინარჩუნეს გამარჯვება – 1:0.

გუნდების შემადგენლობანი: „ჟალგირისი“ – ოურკუსი, ბუზმაკოვი, იანონისი, მაჟეიკასი, დაუტკუჩი, სუკრისტოვი, რასიუკასი, მაცკიავიჩუსი, იაკუბაუსკასი, ბარანაუსკასი, ტამულიავიჩუსი; „დინამო“ – გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, კუდინოვი, სვანაძე, გურული, კაკილაშვილი, ჯოხაძე (მესხი), სულაქველიძე, გაზაევი, ჩელებაძე. მსაჯი – მ. კუსენი (ლვოვი).

დუბლიორები – 4:0 „ჟალგირისის“ სასარგებლოდ.

ლელო 4.05.1986